ბოროტება მზისქვეშეთში

აგათა კრისტი

2016-01-22

აგათა კრისტი

დეტექტივის ოქროს კოდექცია
აგათა კრისტი - 125

მთარგმნელი **მანანა კვესელავა**
რედაქტორი **ია შარვაშიძე**
კორექტორები: **ნატალია ჩიმაკაძე, ლიკა თავართქილაძე**
დიზაინერი **ლაშა გიორგაძე**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან კოღუაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **დათო მოსიაშვილი**
პროექტის მენეჯერი **ნათია ზაქრაძე**

2015 წელი ბრიტანელი მწერლის, დეტექტიური ჟანრის ყველაზე ცნობილი ავტორის, აგათა კრისტის საიუბილეო წელია. დაბადებიდან 125 წლის იუბილეს მიეძღვნა «გამომცემლობა პალიტრა L»-ის ახალი სერია «დეტექტივის ოქროს კოლექცია».

სერიის თითოეული ტომი დამოუკიდებელ ნაწარმოებს მოიცავს. შეირჩა საუკეთესო და ყველაზე პოპულარული ნაწარმოებები, რომლებიც ქართველი მკითხველისთვის ორიგინალიდან ითარგმნა, და ბევრი მათგანი – პირველად.

აგათა კრისტის დეტექტივები გამოცემების რაოდენობით მსოფლიოში მხოლოდ ერთ ავტორს, უილიამ შექსპირს ჩამორჩება – «დეტექტივების დედოფლის» წიგნები მთელ მსოფლიოში 4 მილიარდ ეგზემპლარზე მეტი გაიყიდა და 100 ენაზე ითარგმნა.

გამჭრიახი გონებისა და საოცარი აღღოს მქონე მაძებარი, ექსცენტრიკული ერკიულ პუარო, მის მარპლი, კაპიტანი ჰასთინგზი, ტომისა და ტაპენსის ოჯახური წყვილი – ასეთია მკითხველის საყვარელი გმირების გალერეა. ამიტომაც დაიმკვიდრა აგათა კრისტის შემოქმედებამ კაცობრიობის კულტურულ საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი და მისი დეტექტივები დღემდე არა მხოლოდ ამ ჟანრის მოყვარულთა საყვარელი საკითხავია.

© გამომცემლობა პალიტრა L, 2015

ყველა უფლება დაცულია

Evil Under the Sun Copyright © 1941 Agatha Christie Limited. All rights reserved.

AGATHA CHRISTIE, POIROT and the Agatha Christie Signature are registered trade marks of Agatha Christie Limited in the UK and/or elsewhere. All rights reserved. The Agatha Christie Roundel Copyright © 2013 Agatha Christie Limited. Used by permission

* * *



თავი 1

I

როდესაც 1782 წელს კაპიტანმა როჯერ ანგმერინგმა ლეზერკომბის ყურეში, პატარა კუნძულზე, სახლი აიშენა, ეს ექსცენტრიკულობის მწვერვალად ჩათვალეს. კარგი ოჯახის შვილს, როგორიც ის იყო, წესით, ნორმალური, დიდი სახლი უნდა ჰქონოდა, წყაროთი და კარგი საძოვრებით.

მაგრამ კაპიტან როჯერ ანგმერინგს მხოლოდ ერთი სიყვარული ჰქონდა – ზღვა. ამიტომ «მყარი» სახლი, როგორიც, მისი აზრით, სახლი უნდა ყოფილიყო, ზღვაში შეჭრილ ადგილზე ააშენა. კუნძულზე მუდამ ქარი ქროდა, ცაში თოლიები დაფრინავდნენ და

ყოველი მოქცევისას ხმელეთს იყო მოწყვეტილი.

ცოლი არასოდეს შეურთავს. მისი პირველი მეუღლეც ზღვა იყო და უკანასკნელიც. სიკვდილის შემდეგ სახლიც და კუნძულიც შორეულ ბიძაშვილს დარჩა. არც ამ ნათესავს და არც მის შთამომავლობას მემკვიდრეობაზე ბევრი არ უზრუნიათ. მიწები და ქონება ხელში ადნებოდათ და ყოველი მომდევნო თაობა უფრო ღარიბდებოდა.

1922 წელს, როდესაც ზღვის სანაპიროზე დასვენების ჩვევა საბოლოოდ დამკვიდრდა და მიიჩნიეს, რომ დევონსა და კორნუელში ზაფხულის სიცხე არც ისე ძნელი ასატანი იყო, ართურ ანგმერინგმა აღმოაჩინა, რომ მის უზარმაზარ, მოუხერხებელ, გვიანდელი გეორგიანული სტილით ნაგებ სახლზე დიდი მოთხოვნა აღარ იყო. თუმცა კაპიტან როჯერის შეძენილი და შემდეგ მისგან მემკვიდრეობით მოუღოდნელად მიღებული ქონება კარგ ფასად გაყიდა.

მყარად ნაგები სახლი გაადიდეს და გააღამაზეს. ხმელეთიდან კუნძულამდე ბეტონის დამბა ააშენეს. კუნძულის გარშემო ბილიკები გაჭრეს და მყუდრო მოსასვენებელი ადგილები მოაწყვეს. აქ იყო ჩოგბურთის ორი კორტი, პატარა ყურეს მზეზე გასარუჯი ტერასა გადაჰყურებდა, ყურეში კი მრავლად იყო ნავი, ტივი და წყალში სახტომი ფიცარნაგი. შემდეგ ღეზერკომბის ყურეში, «კონტრაბანდისტების კუნძულზე», საზეიმოდ გაიხსნა სასტუმრო «მხიარული როჯერი». ივნისიდან სექტემბრამდე (აღდგომის მოკლე სეზონის ჩათვლით) «მხიარული როჯერი» სავსე იყო. 1934 წელს ის კიდევ უფრო დიდი და კომფორტული გახდა. სასადილო ოთახი გაადიდეს, დაემატა კოქტეილბარი და რამდენიმე სააბაზანო. შესაბამისად, ფასიც გაიზარდა.

ღონდონელები ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

— ღეზერკომბის ყურეში თუ ყოფილხართ? იქ პატარა კუნძულზე არაჩვეულებრივად მოწყობილი სასტუმროა, ტურისტებისა და ტურისტული ავტობუსების გარეშე. სამზარეულოც გადასარევია. აუცილებლად უნდა წახვიდეთ.

და ბევრი მართლაც მიდიოდა.

II

ამ სასტუმროში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თვლიდა) იყო გაჩერებული. ბრწყინვალე თეთრ ქერელის ტიღოს კოსტიუმში გამოწყობილი ერკიულ პუარო, თვალებზე ჩამოფხატული პანამითა და წარმოუდგენლად აწკეპილი ულვაშით, გაუმჯობესებული კონსტრუქციის შეზღონგზე გადაწოლილიყო და გაჰყურებდა პლაჟს, რომლისკენაც სასტუმროდან ტერასები კიბისებურად ეშვებოდა. პლაჟი სავსე იყო საცურაო კამერებით, მატრასებით, რეზინისა და ბრეზენტის ნავებით, ბურთებითა და რეზინის სათამაშოებით. ნაპირიდან სხვადასხვა მანძილზე წყალში სახტომი გრძელი ტრამპლინი და სამი ტივი მოჩანდა.

დამსვენებლებიდან ზოგი ზღვაში იყო, ზოგი მზეზე ირუჯებოდა და ზოგიც ზეთით სხეულს იზელდა.

დამსვენებლები პირველ ტერასაზეც ისხდნენ და ამინდზე, იქაურ მიმდინარე ამბებზე, დილის გაზეთებში წაკითხულ სიახლეებსა და მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე საუბრობდნენ. პუაროს მარცხნივ მისის გარდენერის ღაპარაკი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საქსოვი ჩხირების წკრიალის თანხლებით. ის წყნარად და